პელაგია ჯუღელი

10/20/2005

სკოლა: კავკასიის ბიზნესის სკოლა

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება

კურსი: III

CU ელ.ფოსტა: p_jugheli@cu.edu.ge

ჩემს შესახებ :

ვარ კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტი და ვგეგმავ სპეციალიზაციას ფინანსების განხრით. ვფიქრობ, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება იქნება მყარი საფუძველი ჩემი პროფესიული გზისთვის. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში ერთი სემესტრი ვისწავლე ავსტრიაში, რამაც შესაძლებლობა მომცა, შემეძინა საერთაშორისო გამოცდილება, გამეცნო ახალი გარემო და შემესწავლა სხვადასხვა კულტურა, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი ხედვა როგორც პროფესიულ, ისე პირად დონეზე და გამიმყარა სურვილი მომავალში ფინანსურ სფეროში საქმიანობისკენ.

აქტიურად ვმონაწილეობ ახალგაზრდულ პროექტებსა და მოხალისეობრივ საქმიანობებში, რაც მეხმარება ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებაში. ძალიან მიყვარს ადამიანებთან კომუნიკაცია, ახალი ურთიერთობების შექმნა და სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა, რადგან ეს მაძლევს შესაძლებლობას, მუდმივად ვისწავლო ახალი რამ სხვებისგან და განვივითარო საკუთარი თავი.

ჩემთვის დიდი პატივია შევიტანო წვლილი კავკასიის უნივერსტიტეტის წარმოჩენაში და იმ ღირებულებების გავრცელებაში, რომლებიც მას ასეთ განსაკუთრებულს ხდის.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR